



ვე დღეს და თითქმის იმავე დროსვე ობილიისშიაც იყო მიწისძვრა, მაგრამ ერთობ სუსტი, ძლიერ შესამჩნევია.

== აქაურს გაზეთებში დაბეჭდილ განცხადებათა თანახმად, კვირას, იანვრის ცამეტს, „ქალაქის წიგნის გადამწვეტილებით ქალაქისაგან აგებული ძეგლის გამო“ ღენერალი ტერ-ლუკასოვისათვის გადახდილ იქნა, როგორც გვიამბებს, ობილიისში მცხოვრებ სომეხთა საკრებულო ეკლესიის „მანქის“ გალავანში (სადაც აგებულია თვით „ძეგლი“) პანაშვილი მოხსენებულს ღენ. ტერ-ლუკასოვზე. პანაშვილის შემდეგ სიტყვა წარმოუთქვამს მხოლოდ სომეხთ ეპისკოპოსს, თუმცა დამსწრეთა შორის იყვნენ რამდენიმე ცნობილი ღენერლები, რომლებთანაც უმსახურნია განსვენებულს. ძალაქის რჩევას გატაცებულს „ძეგლისთვის“ გადაღებული ჰქონია ორა ათასი მანათი, აღებული და დახარჯული ჩვენი ქალაქის კასიდან. „ძეგლი“ აგებულია ნაკრის ფერის გრანიტისაგან და ზემო ნაწილში ჩადგმული აქვს ტერ-ლუკასოვის ბიუსტი, თითბრისაგან ჩამოსხმული, რომელიც თურმე ცოტათი ვერ ჰგავს განსვენებულს. ზოგიერთი იქ დამსწრე სწუხდენ თურმე, რომ „ძეგლის“ ზემო ნაწილი მთლიანი კი არა, რამდენიმე წერილ-წვირთ ნაკერ გრანიტისაგან არის შედგენილი—„ერთი ორიოდ წლის შემდეგ წვიმა ხომ სრულიად დააცილებს ქვებს ერთმანეთსაო“, ამბობდენ...

== სამეგრელოდან, სოფ. სარტიდან გვწერენ შემდეგს უცნაურს მოვლენაზე, რომელიც ღირსია გ. ზოლოტოვებისაგან ყურადღების მიქცევისა: „ერთი ქერივი ღვინო-კაცის ბაყე ძროხას დიდად გაუჭირდა ხბოს მოგება. ხანგრძლივის წვლების შემდეგ საშობად გამოჩნდა უკანა ფეხები და შობის პროცესი შეჩერდა. ამ მდგომარეობაში იყო საბრალო ძროხა ოთხი დღისა და ღამის განმავლობაში. მესუთე ღვინო ხბოს შეაჭრეს გამოყოფილ ფეხების ნახევარი და მალე ძროხაც მოკვდა. როცა გასჭრეს, მაცქერალთ თვალს წარმოუდგა უცნაური სანახავი ხბო, რომელსაც ნორმალურს ერთს ტანსა და კისერს გარდა ჰქონდა ორი თავი, ორი ტუჩი კბილებითურთ, ორი ენა და ოთხი თვალი“.

ამ ცნობის ავტორი გვწერს, რომ მოხსენებულ ხბოსთვის ტყავი გავაძრობინე მე მაქსია, და ობილიისს მუზეუმში თუ ისურვებს, ხელ-მისაცემ ფასად მივიყიდი.

== თუთხმეტს ამ თვიდან შოთში უნდა დაწყებულიყო გარჩევა იმ რვა კაცთა საქმისა, რომელთაც ბრალდებით წარსული თვის მისში თავსდაცმა და გაცარცვა ნავთ-სადგურის მოიჯარაღრის შ-სა, მაიღებურ-ოვისა და მიხეილოვისა. ბრალდებულთ გასამართლება მოხდება სამხედრო სამართლოს წესით...

== გაზეთის „კასპის“ სიტყვით გეოქიასის მასწავლებელი სოფ. ფოთში ახალწელწადს დღეს დაიბადა შესამჩნევი მანინჯი ბაშვი. ამ მანინჯის დედა ყოფილა თათრის ქალი, რომლის „შვილს“ თუქუბა და გამოჭულა და პირი კი თუქუბასს მიუგავს თუქმე. მუქუს წავაზრ შვილებია და ამას გამო სახსია ასსმენ ზქეს. („ხოჯ. ობოზ.“)

== ქ. თბილისის მომრეგებელ სამს. ჯავახიშვილის საგამომკებლო კამერაში აღმოუჩნდათ „ნივთიერ დაბეჭდვითა“ და სხვა-და-სხვა ქაღალდების გაჭურჭვა საქმეებიდან. ამ აღმოჩენის წყალობით გაუგათ, რომ გაფლანგული ყოფილა საწინდრად შეტანილი ფურცლები, 600-ოდე მანეთი. დამნაშავე, თარჯიშანი — ბ. პასუხას გებაში მიუგიათ. გაფლანგული ფურცლი მამინჯე შეკვებულ იქნა, რეგორც კი ბარბოტ-მეჭმელებს გაიგეს. („ხოჯ. ობოზ.“)

== მოსკოველი ქართველი სტუდენტებისაგან მივიღეთ შემდეგი წერილი. „შემორჩილესად გთხოვთ მოსკოვის უნივერსიტეტის მოსწავლე ქართველობა, მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგს განცხადებას: ზოგიერთა პირთა მართებ ჩვენი ვალი და ჩვენს მხრით რამდენჯერმე გამეორებულს თხოვნისა და წერილების მიუხედავად აქამდის არ უზღავრეს ვალი. მეტი კომენტარები უადგილოდ მიგებნია. იმედი გვაქვს ჩვენი მოვალენი შეისმენენ ჩვენს უკანასკნელ თხოვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულნი ვიქნებით თქვენს პატივცემულის გაზეთის შემწევობით საჯაროდ გამოაცხადოთ მათი გვარები და ვალის რაოდენობა.“

მისაც მოაგონდეს მოვალეობა ამ აღრესითმოგემართოს: Москва, большая Бронная, богословский пер. № № Кузовлева, № 15, студенту Петри-швили.

== ჩვენ გვთხოვენ შემდეგის გამოცხადებას: „იანვრის 13, 1885 წელს ჩვენ შედგა ტოროტა აღმოვაჩინეთ სამედიცინო სამართლის თავს-მუდამარედ დ. ზ. ბაქრაძე. შემდეგ ამას მოსდა პარკული სხდომა, რომელზედაც დადგინდა იქნა შემდეგ გადამწვეტილება: დადგანთ თავს-მუდამარტე გამოცხადება, რომ მას ამ ორას კვირის განმავლობაში თავის სათანადებო საქმეებს გამო მოცლა ანა აქეს, ამისთვის ი. ს. გოგებაშვილსა და ს. დუღაძეს შორის აღმწულის პოლე-მიკურის დავის განხილვა გადაიდგას ვეპლეის კვირამდის“ დიმიტრი ბაქრაძე. გიორგი იოსელიანი. გიორგი წერეთელი.

„დროების“ კორექსორი ბათუმი, იანვრის 11-ს. ბევრის მხრით არის საინტერესო ბათუმის მაზრის განსხვავებული და თავისებური ქორმა მიწის მფლობელობისა. ის კანონი,

რომელმაც ეს მფლობელობითი ფორმა განიხილა, ბათუმში იწოდება „თაფა“. მეცნიერებაში ამ ფორმას კანონ-მცოდნენი „თაფის უფლებას“ ეძახიან (тапное право). ამ „თაფმა“ ისეთი განსაკუთრებითი სახე მისცა ბათუმის მაზრაში მიწის მფლობელობას, ისეთ გეარად განლაგდა-გამოხლანჯა მფლობელობითი უფლება მიწისა, რომ სწორედ საინტერესოა ამ ანდაზად გარდაქცეულს კანონს კაცი შეეხოს ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით. თეორიულად ამ საგნის გამოკვლევა ერთობ შორს წავიყვანდა, — განვიხილოთ მხოლოდ სტატისტიკური მხარე. მრცლად და სისტემატურად ბაასი ამ საგანზე იქნებ ამ მხრითაც ვერ მოვახერხებთ, რადგანაც ამ საგანთან ერთად შეკარძებული და შეკარწიებულია მოქმედება ესრედ-წოდებულის ბათუმის საადგილ-მამულო ძომისისა. „თაფის“ ფაქტიური მოქმედების ზოგიერთთა სურათთა საილუსტრაციოდ შეიძლება თვითეული ფაქტების მოყვანაც. ზერჯერობით ორიოდ სიტყვა იმაზე, თუ როგორ დაწესდა ეს კანონი საზოგადოდ მესხეთში.

მესხეთის მხარე მოსწყდა საქართველოს პოლიტიკურს დამოკიდებულებას და მსმალეთის ხელში ჩაგარდა მეჩვიდმეტე საუკუნეიდგან. როგორც ნაწილი საქართველოსა, — მესხეთი ამ დროს ყველაფერში გათანასწორებული იყო საქართველოსთან. მიწა-წყალი, მთა და ბარი ისე იყვნენ აქ განაწილებულნი, როგორც, საზოგადოდ, თვით საქართველოში. მფლობელობა მიწისა პიროვნულ საკუთრების უფლებით იყო მომართული; „თაფი“ მაშინ არც კი იცოდენ მესხელებმა-რა იყო.

ბამონდა დრო და მსმალეთის მთავრობამ გაამაჰმადიანა სამესხეთო, და ამასთან ერთად მოაწადინა სხვა-და-სხვა ცვლილება მოეხდინა მესხეთის სამოქალაქო ცხოვრების წყობილებაშიც. რელიგიურს საქმეებთან თითქმის ერთად დაიწყო პოლიტიკური გათანასწორებაც მესხეთისა მსმალეთის საზოგადო სახელმწიფო ურთიერთობასთან და თავ-დაპირველად მსმალეთის მთავრობამ ამ გვარი გათანასწორება მიწა-წყლიდგან დაიწყო.

ბამოცა ბრძანება, რომლითაც მესხეთში ისე უნდა მოთავსებულიყო მიწის-მფლობელობა, როგორც სხვა მსმალეთის საბრძანებელში. მოხელებს სასტიკი ბრძანება მისცა მთავრობამ—ყოველს მცხოვრებს მისცემოდა მიწა-წყალზე მსმალეთის მთავრობის სიგელები: „თაფები“, აქედამ აშკარად იხატება მსმალეთის მთავრობის პოლიტიკური განზრახვა. რაკი „თაფები“ გასცეს—მთავრობამ აშკარად გამოუცხადა ხალხსა, რომ ამიერიდგან პიროვნული საკუთრება მიწა-წყალზე მოისპოვო, მიწა-წყალი ეყუთენის ჯერ პოლასს და მეჩე ხონთქარსაო. ამ გეარად შეიკვალა მესხეთში ტრადიციულად შემუშავებული პრინციპი საკუთრებისა მიწა-წყალზე, მთა და ბარზე იმ წესად, რომელსაც დღეს

კანონთ მცოდნენი ეძახიან „тапное право“-ს ეძახიან. ბევრს, რასაც ირველია, არ ექაშნიკა მესხეთში იმ დროს ამ გვარი განკარგულება მთავრობისა, და, როგორც ერთს უმთავრეს მოწინააღმდეგეს ამ გვარის წეს-წყობილების შემოღებისას, ასახელებენ აბაშიძეს, (ეხლანდელი ბეგების ძმას). ამან მაშინათვე გამოუცხადა ხალხსა: არ შესცდეთ, თაფები არ აიღოთ მამულებზე, სამეილის-შვილო ცოდვაში ნუ შედინართ, სამარადისო საქოლავს ნუ ააგებინებთ თქვენს მომავალს შთამომავლობას; ვინ მოსწვდება დროთა ბრუნვას, დღეს ასე ვართ, ხვალ სხვა იქნებაო. რაც საქართველოს მეფეებისგან სიგელები გვაქვს მამულებზე, ესეც გვეყოფაო. მაგრამ ამ კვიანურს რჩევას არცინ ვაჭყვა თურმე მაშინ და მაინც აიღეს „თაფები“.

მართალია ამ „თაფების“ წყალობით ბათუმში გაბედნიერდენ არა ერთი და ორი, მაგრამ ამასთან ერთად ათასს და ორთ ათასს უწყალოდ პირში ჩალა გამოეყო.

არ ვიცი რა აზრისანი არიან დღეს ჩვენი ისტორიული ძმები, მესხელები, „თაფზე“, მხოლოდ არ შემიძლიან არ ვაღვიარო—განსვენებულის აბაშიძისთვის რომ დაეჯერებინათ, დღეს ყველა მათგანი მყუდროდ და მშვიდობით იქნებოდა თვის მამა-პაპეულს ნაკირანახულებზე.

აქ ერთი რამ გარემოება მომაგონდა, რომელზედაც მსურს მიექციო მკითხველების ყურადღება. 1684 მუხლში X ტომ. ცხადად სწერია, რომ თუ ადგილი მსყიდველმა არ დაიმტკიცა ნასყიდობის სიგელით (купчая крѣпость), მაშინ მსყიდველს ყიდვით მოზარებულს ადგილზე ნება არა აქვს ააშენოს სახლი. ამავ მუხლის მეორე სტოლიოში სწერია, რომ პოლიცია მოვალეა თვალ-ყური ადევნოს ამ გვარს მიწებს, არ უნდა მისცეს ნება მსყიდველს სახლის აშენებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით პოლიცია განსაზღვრავს მგებელი.

ძალაქის საავადმყოფოების ახლოს რა ცარიელი ადგილი იყო, ის ბ. პუჩინიანმა მიჰყიდა პოლიცემისტერს ნასყიდობის წერილით. ამ ადგილზე დღეს სასახლეა აგებული. აი, ნამდვილი პროვინციალური კომედია.

ბათუმელები.

ართვინი. 30 დეკემბერს, 1884 წ. ზუზინ ღამის თერთმეტს საათზე ართვინში ცეცხლი გაჩნდა, რომელმაც 21 ლუქანი და ცხრა სახლი იმხეგრავლა. სანამ ადგილობრივნი მცხოვრებნი და ადმინისტრაციისაგან დაბარებული კამანდა მოვიდოდენ, ცეცხლისგან ოთხი სახლი და რამდენიმე ლუქანი უკვე დამწვარი იყო. მინც მოვიდენ, იმათაც ბევრი არა გაარიგეს-რა: ყველანი აგზნებულს ცეცხლს უყურებდენ და გამქრობი კი არავინ იყო, რის გამოც ცეცხლი უფრო-და-უფრო ძლი-



ერდებოდა. ამ დროს თვით ოლქის უფროსმა მეფისოვმა, მისმა თანამემწემ თ. მარსთავმა და მარის უფროსმა ბარონ შნეგრ-შტენბერგმა თვითონ დაუწყეს ცეცხლს ქრობა, ასხამდენ წყალს და მოკიდებულის სახლებიდან გამოქონდათ ავეჯეულობა და პატრონებს აბარებდნენ. ამათმა მოქმედებამ ხალხი დასვენინდისა და მათაც დაუწყეს ცეცხლს ქრობა.

ზემოხსენებულთ პირთა მეცადინეობით და განკარგულებით გააქრეს ცეცხლი, თორემ თუ მთელი ქალაქი არა, ნახევარზე მეტი მინც გადიწოდა; მით უფრო რომ პრეზიდენტის შენობები, რომელნიც ერთი-ერთანეთს შედ მიკრულდებიან, თუმცა ორ-სამ სართულიანი იყო, გემოვნებაზე და აშენებულნი, მაგრამ თითქმის სულ ხისანი არიან, მხოლოდ სამირაკელი აქვს ქვისა. ზარალი 35,000 მანათამდე არის.

პრეზიდენტებს რაღა ეს უბედურება ეჭირებოდათ: უამისოდაც წრევანდელმა უვაქობამ და უფულობამ თითქმის ყველანი გააგლახა. თუმცა უფულობის დროს ხორაგეულის სიიფე უნდა იყო, მაგრამ არც ამ მხრითა ვართ ბედნიერნი: მარსიდგან მოტანილი ხორბალი ფუთი ექვს აბაზად ნაკლებ არ გაყიდულა. ამის მიზეზის არის, რომ ცხოვრებისათვის საჭირო საზღაურო შორეული ადგილებიდან მოაქვთ. სიძვირით უფრო ხელოსნები და გლეხები სწუხდებიან: პირველნი იმისთვის რომ უფულობის გამო საქმე აღარა უჩნდებათ-რა და მეორენი იმისთვის, რომ აქაურს გლეხს ძალიან მცირე მამულს აქვს. მისაც ერთი დღიური მიწა აქვს, ის აქ პირველ გლეხად ითვლება და აბა ერთი დღის მიწა რა წლის საზღაუროს შემოუტანს! აქაური გლეხი უფრო ხილის მოსავლის გაყიდვით სცხოვრობს, მაგრამ წრეულს, წარსულ წლებთან შედარებით, ხილს ძალიან ნაკლები გასაღარი ჰქონდა.

რუსეთი

ინგლისურს გაზ. „Standard“-ს სარწუნო წყაროებიდან გაუგია, რომ რუსემა და მერმანამ უარი განუცხადეს საფრანგეთის მმართველობას მევიპეს ახალს სესხში მონაწილეობის მიუხედავად. ამ სესხის გაცემა მევიპესათვის მოიწადინეს მეროპის სახემწი ოთა, რომ ფეხზე დაეყენებინათ მევიპის გაჭირვებული ფინანსიური მდგომარეობა. და დღეს ორის უმთავრესი სახემწიფოს უარყოფამ ამ საქმეში მონაწილეობაზე, როგორც ქართველი ორესპონდენტი ზემოხსენებულის გაზეთისა იწერება, ფრიად ცუდი შთაქმნილება მოახდინა მევიპეტში და ამ ქვეყანას აღუქრა დიდი თანავგრძობა ინგლისისადმი.

ამ უკანას ნელ ხანებში რუსეთის სასულიერო წყებაში დიდი ყურადღე-

ბა მიაპყრო სამრევლო-საეკლესიო სკოლების ვითარებას. უწუმიდეს სინოდთან დაარსებული კომიტეტი რომელსაც მინდობილი აქვს შეიმუშაოს ახალი პროგრამა, წესი სწავლისა და ახალი სახელმძღვანელონი ამ სკოლები-სათვის. მომავალ მანისათვის კომიტეტი დაამთავრებს თვის მუშაობას და მდგომარეულის წახვერილად ახალი პროგრამა უკვე შემოღებულ იქნება რუსეთის ყველა ამ გვარს სკოლებში.

სახემწიფო ქონებათა სამინისტრო გულმოდგინედ შეუდგა ფეხმსხვილი საქონლის გაშენების საქმეს რუსეთში. ხალხის ეკონომიური მდგომარეობის წარმატებისათვის სამინისტრომ სამართლიანად მიატკია განსაკუთრებით ყურადღება ამ საგანზე და ერთს განვითარებულს აქადემიკოსს, მიდენდორფს მიანდო ამ საქმის შემუშავება და მისის წარმოებისათვის საშუალებათა გამოაძებნა.

სახალხო განათლების სამინისტროსთან დაარსდა ცალკე კომისია რუსეთში ქალების განათლების საქმის ვარჩევისათვის. კომისიაში აღრჩეულთ ვარადა, თავს მდგომარეს ამ კომისიისა ნება მიეცა მოიწვიოს საჭიროების-დაკვალად კერძო წარჩინებულნი და მცოდნე პირნი ამ საქმისა.

უცხოეთი

საშრანბათი. ახალმა სამხედრო მინისტრმა პალატაში წარმოსთქვა ორი სიტყვა, რომელსაც ეხლა თითქმის ყველა ფრანკოფონი გაზეთები იმეორებენ და ვერც ერთს მათგანს კი ვერ აუხსნია, რას ნიშნენ ეს სიტყვებიო. ეს სიტყვები იყო „მცირე მობილიზაცია“ განაპირა ქვეყნებში ექსპედიციების წარმატებისათვის. რას ნიშნავს „მცირე მობილიზაცია“ო ჰკითხულობენ გაზეთები. როგორც წინადა მოვიხსენეთ, ახლის მინისტრისა და ამის წინამოადგილეს შეხედულობა კოლონიალურს ექსპედიციასზე დიდად განსხვავდებიან. ახლის მინისტრის აზრით არ არის საჭირო, რომ კოლონიალური რაზმი ცალკე იქმნეს გამართული, საქმარა მხოლოდ, რომ მთელის საფრანგეთის ჯარადამ განცალკევებულ იქმნეს 12 — 15,000 კაცი შორეულ ექსპედიციებისათვის. მაგრამ დაჰყვებიან თუ არა ასეთს წინადადებას ახლის მინისტრისა — ეს ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილ ვერ ითქმის.

მაზეთების სიტყვით ცვლილება საფრანგეთის ზღვის სამინისტროშიაც უნდა მოხდეს ამ მოკლეს ხანში. სამხედრო მინისტრის გვარ ზღვის მინისტრი გენ. პერიონიც სტავებს სამსახურსაო.

ამერიკის შინაომიერი კავშირი. ამერიკის შეერთებული შტატები მუდამ იტყუილებდნენ მეროპიდან აუარებელს მუშა ხალხს, რომელსაც ვერ-

ვითარი სამუშეოარი ვერ ეპონა თათვის ქვეყანაში დღიურ ლუკმა პურის მოსაპოვებლად. დღემდის ამ გადასახლებულთ იმედი არ უცრუდებოდათ. პოველთის მოულოდლენ საქმეს. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ნახევარ მილიონამდე მუშა ხალხი სრულებით უსაქმოდ დარჩენილა. უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში სამ მილიონამდე ემიგრანტი შეგროვილა შეერთებულ შტატებში. მართალია, შეერთებული შტატები ვრცელი ქვეყანაა, ორი-სამი მეროპის სახემწიფო რომ ავიდოთ კიდევ ვერ შეედრებოთ მას სხვა-და-სხვა წარმოების ათას-გვარობით, მაგრამ დიდს ქვეყანას მრავალ-რიცხვოვანი მცხოვრები ჰყავს და ყველას ერთად — თვისს მცხოვრებთაც და უცხოელებსაც ვერ აქმაყოფილებს.

ინგლისი. კენიების მუქარი დღითი დღე ცხოველდება. შესანიშნავს სიბეჯითით მისდევნ ისინი თავიანთ პროგრამას. ლევიანდელი ტელეგრაფმა გაუწყებეს, რა საზარელი აფეთქება მოახდინეს ამათ ლონდონის პარლამენტში. სწორედ რომ განსვაციფრებელი ძალა უნდა ეჭიროსთ ხელში ამ კენიებს, თორემ რით აიხსნება პარლამენტში მომხდარი აფეთქება იმ დროს, როდესაც თითქმის მთელი ყურადღება მთავრობისა ამ შენობის დაცვაზე იყო მიქცეული. იქნება ამის შემდეგ მცირედ მინც შეფერხდეს კენიების დაურიდებლობა, რადგან შეერთებული შტატები, ბოლოს როგორც იქნა წადაყვენ ინგლისის მთავრობის თხოვნას, რომ მასთან ერთად ემოქმედნათ მედინამიტეთა საწინააღმდეგოდ. შეკველია, ამ ორ ქვეყანასთან ინგლისთან და შეერთებულ შტატებთან იტალიაც ერთად იმოქმედებს მედინამიტეთა წინააღმდეგ, რადგან ამ უკანასკნელ ხანებში, ამათ იქაც იჩინეს თავი.

მსპანი. იმ დროს, როდესაც ინგლისს (უმთავრესად ლონდონს) კაცის ძალა აქცევს, მსპანიის ქალაქებს, დაბებს და სოფლებს შეუწყალებლად ანადგურებს ბუნების ძალა. ძაცის ძალა კიდევ შეფერხდება, მაგრამ ბუნებასთან კი რას გახვალ. ის ერთი უბედურებას საქმარისი იყო მსპანიისათვის, რომ მეორეც ზედ არ დართა... საზარელი თოვლქარი მხალი უწამლავს თურმე უფრო სიცოცხლეს ცხ-ქვემ დარჩენილ ანდალუზიის მცხოვრებთო.

ცვლევრამები

ჩქენის გარეკანდენტი სკანინანვრის 14ს
ვალახი (განუის გუბერნია). დღეს დიდის თორმეტი საათის ორმოცდა-მეხუთე წამზე იყო ძლიერი მიწის-ძვრა. გზაზედ მიმავალი ბევრნი ძირს დაეცნენ. შენობების კედლები დასკდნენ.

(სრულიადიის საკანტონის) ინანვრის 12ს
კონსონი. ფრანკელები თავსდაესხენ გელენგს, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ. ჭრანკელებს მოკლეს და დაუჭრეს 75 კაცი.

ლონდონი. პარლამენტის შენობაში ორი აფეთქება მოხდა ერთი მიწის ქვეშე მყოფს საჯვარეში და მეორე საზოგადოებისათვის დანიშნულ ხორების გვერდით მყოფს დერეფანში. ნივთიერი ზარალი დიდ-ძალია. დაიჭრა ორი პოლიციელი, ერთი კაცი დაიჭირეს. ცოტა ხნის შემდეგ ტოყერშიაც მოხდა აფეთქება.

რომი. იმ ხმების გამო, ვითომც ოსმალები ეპირებოდნენ მეციხოვნეების გაგზავნას მეწამელი ზღვის იმ ნავთ-საყუდლებში, რომელთა დაჭერა იტალიისა აქვს განზრახული, იტალიის ესკადრას უბრძანეს, რომ გზა შეეკრას ოსმალების სატრანსპორტო გემებს.

ბმლინი. მმართველობის წარმომადგენელმა გამოაცხადა რეინსტატგში, რომ მოკავშირეთ რჩევას ჯერ არავითარი განაჩენი არ დაუდგენია ნავთზე გადასახადის მომატების შესახებ და ეს მომატება მხოლოდ განი-მდებლობის წესით და პარლამენტის თანხმობით შეიძლებაო.

ინანვრის 13-ს.
ამბარბურში. სენატორი ჭონ-პლევე დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად და მასთანვე დარჩება სენატორის წოდებაშიაც.

ინანვრის ათს დასწევს 27 1/2 მილიონის კრედიტის ბილეთები. სენატის გარდაწყვეტილებით საქალაქო თვით მმართველობის მოთანამდებე პირთ-ჯამაგირებს ქალაქის საბჭოები ვერ შეეძვირებენ განონით დაწესებულის სამსახურის ვადის გასვლამდე.

ლონდონი. გუბინდელმა აფეთქებამ პარლამენტის შენობაში ერთობ განანდგურა საზოგადოებათა პალატის ოთახები და თავს-მჯდომარის სავარძლის გვერდით მყოფი მისადები ოთახებიც. ძლიერ დაზარალებულია აგრეთვე შეაგული ოთახები, სადაც ჯვარედინდებიან ორთავე პალატების დერეფნები. ტოყერში აფეთქება მოხდა ესრედ წოდებულს „თეთრს კოშკში“, რომელშიაც იყო ოთახების საწყობი. რამდენიმე ასი თოფი დაზიანდა; თვით შენობასაც დიდი ზარალი მიეცა: ფანჯრების ყველა ჩარჩოები დაიშხვრა, ცეცხლიც კი გაჩნდა, მაგრამ მალე გააქრეს. ტოყერში ხუთი კაცი დაიჭრა და პარლამენტის შენობაში — ოთხი; ამათ გარდა დაიჭრა კიდევ ორი პოლიციელი მახათს ორივე შენობაში



თავისუფლად შეეძლო შესვლა საზოგადოებას. ჰუტიკობენ, რომ ბოროტ-მოქმედი დამსწრე საზოგადოების შორის უნდა უოფილიუვნენ, შეუნიშნველად დაეფათ ასაფეთქად მომზადებული დინამიტი და შემდეგ სისწრაფით წასულიუვნენ. ამბობენ, პოლიციელნი ვითომც იმიტომ დაიჭრენ, რომ მომზადებული დინამიტი სწორედ იმ წამს აიღეს ხელში, როდესაც უნდა აფეთქებულიყო, მაგრამ ეს მხოლოდ მოსაზრებაა, რადგონაც პოლიციელები ჯერ კიდევ გონზე ვერ მოსულან. ეჭვის ადამკრეფნი ორი კაცი დაიჭირეს, მაგრამ ისევ მალე განთავისუფლეს.

პარიში. მინისტრთა რჩევას გუშინ ჭერიმ აცნობა, ინგლისმა პასუხი აგოა საფრანგეთის კონტრ-წინადადებაზე ეგვიპტის ვალის საქმის მოგვარების შესახებ: იგი (ინგლისი) თანახმა არის, რომ ცხრა მილიონის სესხი ნათავდებები იქმნას ყველა, ანუ რამდენიმე სახელმწიფოთაგან, და აგრეთვე თანახმა არის გადასახადი დაეღვას, ჯერ-ჯერობით ორი წლის ვადით, ეგვიპტის ვალის ობლიგაციებს. სუეცის არხში გემთა თავისუფლად სიარულის საქმესკი განსჯიან ეგვიპტის შესახებთა სხვათა საქმეებთან ერთად.

ჩიკაგო. ვიდაც ჭუნეს უნახეს „ჯოჯოხეთის მაშინა“ დინამიტი თა და წამლით გაკეთებული. ჭუნკი ეგუთვნის სოციალისტების დასსა და ბრადდება რამდენიმე ცეცხლის გაჩენა. ჩვენების მიცემის დროს-კი ჭუნება სთქვა, რომ მაშინა თავის მოსაკლავად მოვიმზადეო.

ვაშინგტონი. სენატში შეიტანეს კანონ-პროექტი, რომ დადგენილ იქმნას სასჯელი იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ბოროტების მოქმედებას აპირებენ დინამიტით შეერთებულ-შტატებში ანუ სხვა სახელმწიფოებში. კანონ-პროექტი კომისიას გადაეცა.

პარიში. სენატორთა რიცხვის ერთი მესამედის განახლების დროს აღმორჩეულ იქმნენ: ორმოცდა რვა რესპუბლიკელი და ოცდაერთი კონსერვატორი. აღმორჩეულთა შორის არიან — ჰერცოგი ბროჰლი და ჭორნიერი.

ვაშინგტონი. დინამიტით ბო-

როტ კანონრახელების წინააღმდეგი კანონ-პროექტი წინადადებას იძლევა, რომ განწესებულ იქმნას სასჯელი აგრეთვე ცნობიერად მონაწილეობის მიღებისათვის ასაფეთქ მასალების ბოროტის დანიშნულებისათვის გადაზიდ-გადმოზიდვაში და მიწოდებაში.

იანვრის 14-ს.

ვორონეჟი. ეპისკოპოსის მკარის თავს-მჯდომარეობით აქ დაწესდა „ქობა წმ. მიტროქანისა და ტიხონის“ სახელწოდებით. ქობის დანიშნულება არის გავრცელება ხალხში ზნეობითი-სულიერის სწავლისა, საეკლესიო სამრევლო სკოლების განვითარება და მწვალებელთა წინააღმდეგ ბრძოლა.

პარიში. საბოლოოდ ამორჩეულ იქმნენ სენატორებად 67 რესპუბლიკელი და 20 კონსერვატორი. რესპუბლიკელებმა მოიგეს 22 ადგილი.

ლონდონი. „ტაიმსი“ გვაუწყებს, რომ ინგლისისაგან წარდგენილნი ცვლილებანი, რომელნიც უნდა მოხდეს საფრანგეთის წინადადებაში ეგვიპტის შესახებ, — მიიღო საფრანგეთმაო. სახელმწიფოთა შეერთებული თავდებობა ეგვიპტის სესხისა არ მოასწავებს მათს შეერთებულსავე გავლანას ეგვიპტის საქმეებზე და საფრანგეთს არ ენიჭება უფლება ეგვიპტის მართვაში გარევისა.

იანვრის 15

ლონდონი. ღონდონის მხლობლად დაატუსაფეს კაცი, რომელსაც აბრადებენ აფეთქებებში მონაწილეობის მიღებას. ჩვენების ჩამართმევის დროს პოლიციის სასამართლოში დატუსაფებულმა აჩვენა, რომ მას ჰქვიან ჯიბბურტი და დიდი ხანი არ არის, რაც მოსულა ამერიკიდან. ერთი კვირის შემდეგ დანიშნულია ამ საქმის გარჩევა.

ვაშინგტონი. სენატმა დაამტკიცა რეზოლიუცია, რომლითაც გამოაცხადა ზიზღი და დიდი უმადუოფილება ღონდონის აფეთქებათა გამო, რომელნიც შეადგენენ ბოროტ-მოქმედებას განათლების წინააღმდეგ.

განცხადებანი

მალევე გაკვეთილს ყველა საგნებიდამ, სხვათა შორის ქართულის ენიდამაც. მამზადებ ყმაწვილებს საშუალო სასწავლებელთათვის. აღრეს: „**ლონდონის**“ რედაქციაში. (5-4)

მომზადება და გასყიდვა ხსენებულის წასამელის წამლისა, რომელშიაც არა ეითარი კაცის ჯანისათვის მავნებელი ნაფთიერება არ-ურეცია, ნება — დართულია მოსკოვის საექიმო მმართველობისაგან საერთო სავაჭრო წესით.

„პარიში“

წენი პერუენელ საბალზამო მცენარეთაგან, დიდის ხნიდამევე ყველა ქვეყნებში ცნობილი საშუალება.

ხშირის და ლაგუნის წყარის გასაზრდელად.

წენი, რომელსაც ამზადებენ პერუენელ მცენარეთაგან, რომ გორკ ვიციტ, ზოგიერთა თმის საზრდელ და თმაზე წასამელ წამლების არევიტ, იღებთ შესანიშნავს თვისებას წვერის თმის ძირის გამაგრებისთვის და საკვირვლად სწრაფად ეხმარება მის ზრდას.

ეს სამუქალება ისეთი ნამდვილი სამუქალებაა,

რომ პერუენის ხმარებით თვით ახალ-გაზდა ყმაწვილებსაც კი რამდენსამე კვირის შემდეგ, ეზრდებათ მშვენიერი და ხშირი წვერი.

მრავალი სამადლობელი წერილები.

მოწმობენ განსაცვიფრებელს მოქმედებას, ფასი შუშისა 1 მან. 50 კაპ. ზაგზანით ისყიდება რუსეთის ყველა სააფთეკო მაღაზიებში.

შმთავრესი ღებო ამიერ-ქავასისათვის თბილისში საზოგადოება სააფთეკო საქონელითა და მასალით ვაჭრობასა და მისი განყოფილება ბაქოში.

II. 19,475.

(10-9)

რამაშა ბურაქისა

საუკეთესო სამუქალება აქამომდე ცნობილ სამუქალებათა შორის.

შეცრად სწყვეტავს ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. შრიკინებს, პრუსაკებს, ბალბინჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს, ნამის კიებს და სხვ.

იგი მოქმედობს უცვრად,

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნიფთიერებას. რომ არავინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაკციოთ ყურადღება გამოგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ „**რამაშა ბურაქის**“ ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

ისყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში.

შმთავრესი ღებო ამიერ-ქავასისათვის არის თბილისში „ქავასისის საზოგადოება სააფთეკო საქონელით ვაჭრობასა და მისი განყოფილებაში ბაქოს.

II. 19,485

(25-9)

სამზადარი სიუპარული	მთა სრება	საქონლის	ფასი 30 კაპ.
(სალოუსი რედაქციის გამოცემა)			
(ცხრეც კაპ. შემზღავრულ მქტს იფი-ღის ქობაშად, 10% ღებობობა.)			
წინი ისყიდება თბილისში გრძე-რეკის წინის მაღაზიაში, შკვრდ-გის სააფთეკოში და წარწვანას მაღა-ზიაში. ვაშთისში რედაქციის წიგ-ნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსე ნა-თბისთან, თელავში, საოგლოე-ბის ღებოში. მრთბაშად ყიფე შეი-ლება აგრეთვე „დროკის“ რედაქცია-შიაღ.			

ქეთაისში, სკონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირ-და-პირ საკუთარ შენობაში.

(5-3)